ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 24 აპრილი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

კონსტანტინე ქავთარაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ირაკლი ავალიანი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

მალხაზ ბასილაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში ცაცხვების ქუჩის მე-2 შესახვევის, შალვა ნუცუბიძის ქუჩის და ევდოშვილის მე-4 შესახვევის გზის ჩამკეტწახნაგიანი ბეტონის დეკორატიული ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შ.შ.მ. პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 2000 (ორი ათასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1610. 15.04.2015 წ.)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა:

1. შ.პ.ს. „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“- 1990 (ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარი,
2. ინდ. მეწარმე „გიორგი ნატრიაშვილი“ – 1650 (ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 24 აპრილის 12:30 საათამდე პერიოდით.

განიხილეს: ინდ. მეწარმე „გიორგი ნატრიაშვილი“-სა და შ.პ.ს. „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო

წინადადებები და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ საკონკურსო კომისიამ შეაფასა პრეტენდენტები:

1. შ.პ.ს. „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ – 21.4 ქულა,
2. ინდ. მეწარმე „გიორგი ნატრიაშვილი“ - 27.1 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ. კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ცაცხვების ქუჩის მე-2 შესახვევის, შალვა ნუცუბიძის ქუჩის და ევდოშვილის მე-4 შესახვევის გზის ჩამკეტწახნაგიანი ბეტონის დეკორატიული ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შ.შ.მ. პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე „გიორგი ნატრიაშვილი“.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა“ და „მიმოწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.
3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე